

ინფორმაციის ძებნას, მონაცემთა ბაზის მართვის სისტემებში, ერთ-ერთი ძირითადი ადგილი უკავია. არსებულ სისტემებში უფრო ხშირად გამოიყენება ძებნის ინსტრუმენტები, მაგ. ბულეანის ძიება, რომელსაც იყენებს მონაცემთა ბაზა ინდექსაციისთვის, რაც შემდეგ ამარტივებს ძიებას. ეს ალგორითმი ხშირად გამოყენებადია, რადგან მას გააჩნია დიდ ინფორმაციასთან გამკლავების საშუალება, ასევე იყენებენ ისეთი სტრუქტურირებული ინფორმაციის დასამუშავებლად, სადაც შესაძლო ვარიანტები მცირეა. განვიხილოთ მაგალითი: ვთქვათ, გვაქვს პერსონათა ცხრილი, რომელშიც ერთ-ერთი ველი უჭირავს სქესს, ხოლო სტრიქონის უნიკალური იდენტიფიკატორია მაგ. გამოგონილი ID სვეტი (შესაძლებელია პირადი ნომერიც).

იდენტ. სქეს:	1	2	3	4	5	6	7	8	9
მდედრ.	0	1	1	0	0	0	1	1	1
მამრ.	1	0	0	1	1	1	0	0	0

აღნიშნულ ცხრილში მოვძებნოთ მდედრობითი სქესის პიროვნებები. ამისთვის ვირჩევთ ყველა იმ იდენტიფიკატორს, რომელსაც მდედრ. სტრიქონში აქვს ერთიანი, ასეთებია, 2,3,7,8,9. ამ იდენტიფიკატორების შესაბამისი სტრიქონები, ძირითად ცხრილში არის მდედრობითი სქესის. ეს ალგორითმი გამოიყენება სტრუქტურირებული მონაცემების ძებნის ინსტრუმენტებში, სემანტიკური მონაცემებისთვის კი არ იძლევა კარგ შედეგს. თუ გვაქვს ტექსტური ჩანაწერი, ამ ველში სემანტიკური ძიება ბულეანის ალგორითმით შედეგიანი არ იქნება. ბულეანის ძებნაში გამოიყენება ტექსტის სტრუქტურირებულ მონაცემებად წარმოდგენა. მაგ. განვიხილოთ დოკუმენტები.

1. პირველ რიგში ეს დოკუმენტები უნდა იყოს დასათაურებული, ან დავასათაუროთ ჩვენით.
2. შევადგინოთ ცხრილი, სადაც სვეტების სახელები იქნება დოკუმენტების სათაურები, ხოლო სტრიქონები იქნება ამ დოკუმენტებში გამოყენებული განსხვავებული სიტყვები. მაგ.

	დოკ 1	დოკ 2	დოკ 3	დოკ 4	დოკ 5
სიტყვა 1	1	0	0	0	0
სიტყვა 2	1	1	1	0	0
სიტყვა 3	0	1	0	1	1
სიტყვა 4	0	1	0	0	0
...					

ეს ცხრილი შედგენილია ზემოთ მოყვანილი მაგალითის მიხედვით. თუ გვინდა მოვძებნოთ დოკუმენტები, რომელშიც გვხვდება სიტყვა 1 და სიტყვა 2 ერთად, უნდა ავიღოთ შესაბამის სვეტებში ჩაწერილი 1-იანები, ანუ, დოკ 1 არის მხოლოდ ასეთი დოკუმენტი. 10000 და $11100 = 10000$

მონაცემთა ბაზებში იგივე სტრუქტურა შეგვიძლია ავაგოთ. ბულეანის ძეგნის ალგორითმი არ იძლევა ძეგნის ჩატარების საშუალებას სემანტიკური თვალსაზრისით. იმისთვის რომ ბულეანის ძეგნა გამოყენებული იყოს სრულყოფილად, უფრო მეტი აქცენტი უნდა გაკეთდეს, ტექსტური მონაცემის სემანტიკურად სტრუქტურირებულ მონაცემად წარმოდგენაზე.